მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ანკეტა-კითხვარი

დანართი 1

ინფორმაცია სასწავლებლის შესახებ	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული სახელწოდება	შპს - საქართველოს უნივერსიტეტი
	იურიდიული მისამართი	თბილისი, კოსტავას 77
	პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, კოსტავას 77
	ელ-ფოსტა, ტელეფონი (ფაქსი)	ug@ug.edu.ge, 2552222
	ხელმძღვანელი პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	რექტორი კ.თოფურია, 591992969,konstantine.topuria@ug.edu.ge
	საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ-ფოსტა)	თინათინ ღუდუშაური, 599934630, t.gudushauri@ug.edu.ge

ინფორმაცია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასწავლებლის მომზადების პროგრამა
	პროგრამის საგნ(ებ)ის/მოდულ(ებ)ის დასახელება	ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ისტორია, ფიზიკა, მათემატიკა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
	ინფორმაცია პროგრამის დამტკიცების შესახებ (აკრედიტაციის გადაწყვეტილების ნომერი, თარიღი)	17 მარტი, 2016 წელი, #11
	პროგრამაზე ადგილების ჯამური რაოდენობა	25 (მათ შორის 15 ადგილი დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ)
	სწავლების ენა პროგრამის მიხედვით	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებში	60
	მიზანი და სწავლის შედეგი *	იხ. დანართი

ინფორმაცია მოდულის შესახებ

№	პროგრამის საგნის/მოდულის სახელწოდება საფეხურის მითითებით	ადგილების რაოდენობა თითოეული საგნის/მოდულის მიხედვით	სწავლის საფასური საგნის/მოდულის მიხედვით	დასაფინანსებელ პირთა რაოდენობა	ინფორმაცია საგანზე/მოდულზე დაშვების წინაპირობის შესახებ		
					უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდა	აპლიკანტისათვის განსაზღვრული სპეციალური პირობები
1	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2150	3	ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	ანალიტიკური აზროვნება და წერა	ინგლისური ენის ფ ლობა B 1/2დონეზე. ე ნის ფლობის დამადა სტურებელ დოკუმენტს შეიძლებ ა წარმოადგენდეს ბაკ ალავრი/მაგისტრი კვ ალიფიკაციის მინიჭ

2	მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2150	2	მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);	ანალიტიკური აზროვნება და წერა	
3	ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური)	4	2150	2	ისტორია	ანალიტიკური აზროვნება და წერა	
4	ფიზიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)	3	2250	2	ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ანალიტიკური აზროვნება და წერა	
5	ინგლისური ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)	5	2250	3	ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)	ანალიტიკური აზროვნება და წერა	
6	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	5	2200	3	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	ანალიტიკური აზროვნება და წერა	
7							
8							
9							
10							
11							
12							
13							
14							
15							

*მიზანშეწონილია წარმოდგენილ იქნეს დანართის სახით

ბეჭედი

ხელმოწერა

მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამის სწავლის მიზანი და შედეგები

მიზანი:

პროგრამის მიზანია პროფესიონალი მასწავლებლის მომზადება წარმატებული პედაგოგიური კარიერისათვის მუდმივად ცვალებად საგანმანათლებლო გარემოში, რომელსაც შეეძლება სკოლებში მიმდინარე პროცესთა ადეკვატური გაგება და ანალიზი, ისევე, როგორც დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება ყოველდღიურ სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში. პროგრამის განსაკუთრებულ თავისებურებას წარმოადგენას ის, რომ იგი აძლევს მომავალ მასწავლებელს ლიდერობისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს როგორც სასწავლო გარემოსა და პროცესის გუნდური მართვის ისე, ზოგადად, სასკოლო განათლების მართვის პროცესში გააზრებული მონაწილეობისათვის, რაც სკოლისა და განათლების საბოლოო შედეგიანობის უზრუნველყოფის არსებით საფუძველს წარმოადგენს. პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული ცოდნა და გამოცდილება მყარ საფუძველს შექმნის კურსდამთავრებულთა წარმატებული საგანმანათლებლო საქმიანობისათვის როგორც საჯარო, ისე კერძო ზოგადსაგანმანთლებლო დაწესებულებებში.

შედეგები:
ცოდნა და გაცნობიერება
კურსდამთავრებულს ექნება:

- განათლების ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და განვითარების დინამიკის ცოდნა;
- განათლების ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებების, ფუნდამენტური მიზნების, კონცეპტუალური მიდგომებისა და მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიის ცოდნა;
- სწავლის, სწავლებისა და სწავლის მოტივაციის თეორიებისა და სტრატეგიების ცოდნა;
- აქტიური სასწავლო პროცესისა და ოპტიმალური სასწავლო გარემოს შექმნის თავისებურებათა ცოდნა / გაცნობიერება;
- მოსწავლეთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებათა ცოდნა და მათი შესაბამისი პედაგოგიური მოქმედებების საჭიროების გაცნობიერება;
- საგანმანათლებლო კვლევის 8 განსხვავებული მეთოდის ცოდნა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო მიზნებისათვის ეფექტურად გამოყენების ძირითადი პრინციპების ცოდნა;
- ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მოთხოვნების, მასწავლებლის დარგობრივი მახასიათებლისა და პროფესიული სტანდარტის, მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის შესახებ ცოდნა;
- მასწავლებლის ეთიკის ნორმების ცოდნა;
- სასკოლო განათლების სისტემაში აქტუალური კვლევების ჩატარების თავისებურებების და განხორციელების მეთოდოლოგიის ცოდნა;
- ინკლუზიური განათლების საფუძვლების ცოდნა;
- კლასის მართვის პრინციპების ცოდნა;
- საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლების(მშობლის, მოსწავლის, მაასწავლებლის უფლებები და მოვალეობები, მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობის სტანდარტების ცოდნა.

დამატებით:

თუ ძირითადი სპეციალობა ქართული ფილოლოგიაა :

- ქართული ენის გაკვეთილის სხვადასხვა ტიპების ცოდნა;
- ქართული ენის სტანდარტების, სასკოლო სახელმძღვანელოების ძირითადი კონცეფციის, შინაარსისა და მოთხოვნების ცოდნა;
- ქართული ენის მასწავლებლის კომპეტენციების ცოდნა;
- ქართული ენის სწავლებისთვის საჭირო სტრატეგიების შერჩევის ცოდნა;
- მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზის სწავლების მეთოდების ცოდნა;
- მოსწავლისათვის გრამატიკულად გამართული, სტილურად დახვეწილი წერისა და მეტყველების უნარის განვითარების საშუალებების ცოდნა;

თუ ძირითადი სპეციალობა ინგლისური ფილოლოგიაა:

- მასალის შერჩევისა და ინგლისური ენის გაკვეთილის მიზნების განსაზღვრის სპეციფიკის ცოდნა აუდირების, კითხვის, წერითი და ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევათა ჩამოყალიბების პროცესში;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვის განსხვავებული მიზნების თავისებურებათა ცოდნა;
- გააზრებული ჯგუფური სამუშაოს (დისკუსია-დებატები) დაგეგმვის თავისებურებები;
- გაკვეთილის გეგმის შედგენის (სასწავლო მასალის შერჩევისას მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინება, სამოტივაციო აქტივობების გამოყენება) ტექნიკის ცოდნა;
- მოსწავლეებისათვის სხვადასხვა ენობრივ აქტივობათა დამოუკიდებლად განხორციელებისათვის საჭირო სტრატეგიათა ცოდნა;
- ენის სხვადასხვა ასპექტის სწავლების კლასიკური მეთოდების ცოდნა;

- სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციის დესკრიფციული პარამეტრების ცოდნა;

თუ ძირითადი სპეციალობა ისტორიაა:

- ისტორიის გაკვეთილის სხვადასხვა ტიპების ცოდნა;
- ისტორიის სტანდარტის, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების ძირითადი კონცეფციის, შინაარსისა და მოთხოვნების ცოდნა;
- ისტორიის მასწავლებლის კომპეტენციების ცოდნა;
- გაცნობიერებული სკოლაში ისტორიის სწავლების ძირითადი ფორმები, მეთოდები და ხერხები;

თუ ძირითადი სპეციალობა ფიზიკაა:

- გააზრებული ფიზიკის სწავლების მიზანი და ამოცანა;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ფიზიკის საკითხების ცოდნა;
- ფიზიკის სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;

თუ ძირითადი სპეციალობა მათემატიკაა:

- გააზრებული მათემატიკის სწავლების მიზანი და ამოცანა;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მათემატიკური საკითხების ცოდნა;

- მათემატიკის სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;

თუ ძირითადი სპეციალობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებია:

- გააზრებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზანი და ამოცანა;
- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საკითხების ცოდნა;
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი
კურსდამთავრებულს ექნება:

- სასკოლო საგანმანათლებლო გარემოში მუშაობის უნარი;

- საჭირო რესურსების გამოყენების შედეგად ინფორმაციის მოპოვებისუნარი(მაგ.: ონლაინ ღია-რესურსების და საარქივო მასალების ძიება, სტატისტიკური მონაცემების მოპოვება,ელექტრონული მონაცემებისმოძიება);
- კლასის მართვის უნარი;
- პრობლემურ მოსწავლეებთან მუშაობის უნარი ასაკობრივი ფსიქოლოგიის თავისებურებათა გათვალისწინებით;
- საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიზნობრივად გამოყენების უნარი;
- სკოლაში განსახორციელებელი კვლევის დაგეგმვისა და კვლევის პროცესის მართვის უნარი;
- მოსწავლეებთან, მშობლებთან და დანარჩენ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესში მასწავლებლის ეთიკური ნორმების გამოყენების უნარი;
- დროის განაწილებისა და მართვის უნარი.
- ინკლუზიასთან და სოციალური განვითარების პერსპექტივასთან დაკავშირებული პრინციპების გამოყენების უნარი კონკრეტულ სიტუაციაში;

დასკვნის უნარი
კურსდამთავრებულს ექნება:

- მოძიებული ინფორმაციის სისტემატიზაციის და განზოგადების უნარი;
- საგნობრივი სფეროსათვის რელევანტური მეთოდების(ა) კოოპერატიული სწავლება, ბ) პირდაპირი სწავლება) და ზოგიერთი გამორჩეული(ინდუქცია/დედუქცია) მეთოდის გამოყენების გზით მიღებული შედეგების შეჯერების უნარი;
- ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის პრობლემების იდენტიფიცირების და დასკვნის გამოტანის უნარი;
- სასწავლო პროცესის თვისებურებებთან მიმართებაში არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღების და ამ გადაწყვეტილების შეფასების უნარი;
- მასწავლებლის ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შეფასების უნარი.

კომუნიკაციის უნარი
კურსდამთავრებულს ექნება:

- დარგის სპეციალისტებთან (პედაგოგები)ან ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან (მედია, დაინტერესებული პირები) საკუთარი იდეების, მოსაზრებების, აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების უნარი;
- სასკოლო განათლების სფეროსთვის ტიპური საკითხების ირგვლივ დებატებში, დისკუსიებში და საჯარო განხილვებში ეფექტიანი მონაწილეობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი.

სწავლის უნარი
კურსდამთავრებულს ექნება:

- შეძენილი ცოდნის (საბაზისო თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნა პედაგოგიკაში) მუდმივი განახლებისა და ცვალებად ინფორმაციასთან ინტეგრირების უნარი;
- ცოდნის განახლების ან ინფორმაციის გაცვლის მიზნით პედაგოგთა პროფესიულ ასოციაციებში ასევე სამეცნიერო ჟურნალებსა და ელექტრონულ ბიბლიოთეკებში გაწევრიანებისა და საჭირო მასალების დამუშავების უნარი;
- პედაგოგიური ლიტერატურის დამოუკიდებლად დამუშავების უნარი.
- განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის უნარი.

ღირებულებები
კურსდამთავრებულს ექნება:

- ზოგადჰუმანური(რელიგიური, ეთიკური, კულტურული, გენდერული თანასწორუფლებიანობა), ეროვნული, აკადემიური (აკადემიური კეთილსინდისიერება) და პროფესიული ღირებულებების ფორმირებაში მონაწილეობის აუცილებლობა და მათი დამკვიდრებისკენ სწრაფვა;
- განსხვავებული აზრისა და შეხედულების პატივისცემა;
- ბავშვის პიროვნული ღირსების დაცვისა და პატივისცემის აუცილებლობა;
- პროფესიული კოლეგიალურობა.